

გდღანში ავტოფარეხების ნებაყოფლობითი დემონტაჟი მიმდინარეობს



გდღანის მე - 5
მიკრორაიონში
ავტოფარეხების
ნებაყოფლობითი დემონტაჟი
მიმდინარეობს .

50-მდე ავტოფარეხის მეპატრონე გდღანის გამგეობის ინიციატივას, აღნიშნულ მისამართზე სარეკონსტრუქციო სივრცის მოწყობის შესახებ, დადებითად შეხვდა და ავტოფარეხების დემონტაჟზე თანხმობა განაცხადა. ავტოფარეხების აღების პროცესს თბილისის საკრებულოს გდღანის კენტი მიკრორაიონების მაჟორიტარი დეპუტატი ოთარ გრიგორია, გამგეობის წარმომადგენლები და ადგილობრივი მცხოვრებლები ესწრებოდნენ .

როგორც მაჟორიტარმა დეპუტატმა განაცხადა, ავტოფარეხების დემონტაჟის პარადეგურად, ახალი სკვერის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს და მარე გდღანს კიდევ ერთი სარეკონსტრუქციო სივრცე შეემატება. ოთარ გრიგორიამ მოსახლეობას მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გამოჩენისთვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში მათ თანამედროვე სტანდარტების დასასვენებელი სივრცე ექნებათ.

„დღეს გდღანში დიდი პროექტის განხორციელება დაგინწყეთ, რაც 8000 კვადრატურ მეტრზე სკვერის მშენებლობას გულისხმობს. ამასთანავე, ადგილობრივ მცხოვრებლებთან მოლაპარაკების შედეგად, მივაღწიეთ შეთანხმებას და 50-მდე ავტოფარეხის დემონტაჟი მიმდინარეობს. მათ ნაცვრად კი ადგილი დაეთმობა ვერობიდიკებს, საფეხმავრო

ბორდიურებსა და რეკრეაციულ ზონას. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გრდანის გამგეობას ამ პროცესებში აქტიური ჩართულობისთვის და ასევე, მინდა მადლობა ვუთხრა ადგილობრივ მოსახლეობას, რომედთაც თავიანთი ხელით დაიწყო ავტოფარეხების დემონტაჟი“ – განაცხადა ოთარ გრიგორიამ.

commercant.ge